ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N№2

ქ. თბილისი 08.01.2019 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი PMC " (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი დირექტორის თამარ ლიპარტელიანის სახით, ორივე ერთად შემდგომში წოდებული როგორც „მხარეები",საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, <u>გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მონეტარული ზღვრის დაცვით,</u> ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ სხვა მითითებას არ შეიცავს წინამდებარე ხელშეკრულება.
2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის დავალებების ფსიქომეტრული ანალიზი (CPV- 73200000), რაც მოიცავს შემდეგს:
3.1.1. მონაცემთა ბაზის შექმნა;
3.1.2. ფსიქომეტრული ანალიზი:
ა) დავალებების ანალიზი - სირთულე, სტანდრტული დევიაცია, დისკრიმინაცია, დისტრაქტორების ანალიზი, დავალებათა გრაფიკული ვიზუალიზაცია;
ბ) სუბტესტების ანალიზი: სანდოობა, გაზომვის ცდომილება, საშუალო სირთულე, სიხშირეთა ანალიზი;
გ) ტესტის მახასიათებლების ანალიზი: სანდოობა, გაზომვის ცდომილება, საშუალო სირთულე, სიხშირეთა ანალიზი.
3.1.3. საკონსულტაციო სესიები - ფსიქომეტრული ანალიზის შედგების განხილვა:
ა) დავალებების ანალიზი
ბ) სუბტესტების ანალიზი
გ) ტესტის მახასიათებლების ანალიზი
დ) რეკომენდაციები.
3.2 თავის მხრივ, შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს მომსახურება, თუ ის შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით მოთხოვნილს და გადაიხადოს მისი ღირებულება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს განახორციელებს - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი თამარ სულაქველიძე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების სრულად განხორციელების შემდეგ.
6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე მოწვეულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი თამარ სულაქველიძე.

7. მიწოდების პირობები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2019 წლის 18 იანვრის ჩათვლით, შემდეგი გრაფიკის დაცვით:

7.1.1. მონაცემთა ბაზის შექმნა (3.1.1. ქვეპუნქტი) - არაუგვიანეს 2019 წლის 11 იანვრისა

7.1.2. ფსიქომეტრული ანალიზი (3.1.2. ქვეპუნქტი) - არაუგვიანეს 2019 წლის 15 იანვრისა

7.1.3. საკონსულტაციო სესიები - ფსიქომეტრული ანალიზის შედგების განხილვა (3.1.3. ქვეპუნქტი) - 2019 წლის 15-დან-18 იანვრის ჩათვლით

7.2. მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი.

8. ანგარიშსწორების წესი

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;
8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
8.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, მომსახურების სრულად დასრულების შემდგომ.
8.4. დაფინანსების წყარო: სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის 2019 წლის საკუთარი სახსრებით (100%).

9. ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;

9.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;
10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
11.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს განხორციელებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს განხორციელებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი“-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი;

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.
12.2 სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 5%-ის ოდენობით.
12.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით.
12.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით.

14. დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან და ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს
საბჭოსთან არსებული
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
ს/კ 203860642
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #32

LEPL Common Courts Department under High Council of Justice
Digitally signed by LEPL Common Courts Department under High Council of Justice
Date: 2019.01.08 17:53:49 +04'00'

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

მიმწოდებელი:
შპს „ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი PMC "
ს/კ 204430491
მის: ქ.თბილისი, მელიქიშვილის №12
სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE57TB0600000026467631
ტ:595 22 82 97

თამარ ლიპარტელიანი
დირექტორი